ჩვენი გაზეთი იუბილარია, 90 წლის წინ, 1933 წლის 2 აპრილს დაარსდა გაზეთების: „თერჯოლის“, „წინსვლის“ და „საკოლმეურნეო სოფლის“ წინამორბედი, გაზეთი „ჩხარის კოლმეურნე“.

90 წელი თქვენთან ერთად!



„არს მთის კალთას, სკანდას, სასახლე მეფეთა და ციხე დიდი, დიდშენი“
ვახუშტი ბაგრატიონი

თერჯოლა

Facebook გაზეთი თერჯოლა
www. nplg. gov. ge
www. terjola. gov. ge

საზოგადოებრივი გაზეთი ● გამოდის 1933 წლიდან ● №4 (7103) 15 თებერვალი 2024 წელი

და, ვინ იცის, კიდევ რას გვიპირებს გაავებული ბუნება...

წლევანდელი წლის თებერვლის თვის პირველი დეკადის დღეები (6-7 თებერვალი), ჩვენდა სამწუხაროდ, მორიგ ტრაგიკულ დღეებად შევა ქვეყნის უახლეს ისტორიაში...

დასავლეთ საქართველოში, გადაუდებელი წვიმების სახით მოსულმა უხვმა ნალექმა, მთელ რიგ რეგიონებში—განსაკუთრებით კი აჭარაში, გურიაში, სამეგრელოსა და იმერეთში გამოიწვია მეწყრული პროცესების გააქტიურება, წყალდიდობები...

სამწუხაროდ, ამ საშიშმა პროცესებმა უმძიმესი ტრაგიკული შედეგები მოგვიტანა, დაიღუპნენ უდანაშაულო ადამიანები...

უმძიმესად ტრაგიკული ვითარება შეიქმნა იმერეთში—ბაღდათის რაიონის სოფელ ნერგეეთში, სადაც მეწყერმა მთლიანად ჩამარხა ოთხი ოჯახი.

მეხანძრე-მაშველებმა თავგანწირული მუშაობით შეძლეს, რომ ამ ოჯახებიდან ცხრა დაღუპული მოეძებნათ.

ასეთი ტრაგედიის გამო გლოვობს სრულიად საქართველო, სოფელი ნერგეეთი, ბაღდათის მუნიციპალიტეტი. ჩვენც, თერჯოლელებიც, დიდი გულისტკივილით და წუხილით თანავუგრძნობთ მათ, დაღუპულთა ოჯახებს, ახლობლებს.

ამ ტრაგედიის გამო სამძიმარი პირადად გამოხატა მუნიციპალიტეტის მერმა მანუჩარ რობაქიძემ. მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე კი, რომელიც 7 თებერვალს გაიმართა, საკრებულოს თავმჯდომარის გია ბარათაშვილის წინადადებით, საკრებულოს სხდომის ყველა მონაწილემ, საკრებულოს წევრებმა, მუნიციპალიტეტის მერმა და საკრებულოს სხდომაზე დამსწრე სხვა ხელმძღვანელმა პირებმა წუთიერი დუმილით მიაგეს პატივი ტრაგიკულად დაღუპულთა ხსოვნას.

გლოვის დღეებში ბაღდათში, სოფელ ნერგეეთში ჩავიდა პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე თანმხლებ პირებთან ერთად.

ისინი იმყოფებოდნენ ჯერ სტიქიის ზონაში, შემდეგ კი იმ ოთხ ოჯახში, სადაც დაღუპულთა ცხედრებია დასვენებული. მათ დაღუპულთა ახლობლებს სამძიმარი გამოუცხადეს და თანადგომა აღუთქვეს.

ბაღდათის ამ სოფელში მეწყერი 7 თებერვალს, ღამის ორ საათზე ჩამოწვა და 4 საცხოვრებელი სახლი მოიყოლა, სადაც ჯამში 10 ადამიანი იმყოფებოდა, აქედან მაშველებმა ერთი მამაკაცის გადარჩენა შეძლეს. ნაპოვნია 9 ადამიანის ცხედარი, აქედან 3 არასრულწლოვანია და ერთი 20 წლის სტუდენტი გოგონა.

სტიქიის ეპიცენტრში, სამძებრო სამუშაოებს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 200-ზე მეტი მაშველი, შესაბამისი აღჭურვილობით, ტექნიკით, მცურავი საშუალებებითა და დრონებით უწყვეტ რეჟიმში

☞2

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საშობაო ეპისტოლე
მეორე ნაწილი
7 იანვარი—ქრისტეშობა, 2024 წელი

ჩვენი გაზეთის წინა ნომერში („თერჯოლა“ №3. 1 თებერვალი, 2024 წელი), გაგაცანით უწმინდესისა და უნეტარესის, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის 2024 წლის საშობაო ეპისტოლეს პირველი ნაწილი, რომელიც ეძღვნება ქრისტეშობამდელ პერიოდს და ქრისტეს შობას. ამჯერად კი გთავაზობთ ეპისტოლეს მეორე ნაწილს, რომელიც ეხება ქრისტიანული სარწმუნოების უდიდეს წვლილს მსოფლიო ისტორიაში.

☞3

ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან...

☞2

თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის სოციალური პროგრამები

„თერჯოლის“ წინა ნომერში დავიწყეთ თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის სოციალური პროგრამების გამოქვეყნება, რომლებიც მუნიციპალიტეტის საკრებულომ 2024 წლის 10 იანვრის სხდომაზე დაამტკიცა.

დამტკიცებული 14 სოციალური პროგრამიდან, ჩვენი გაზეთის წინა ნომერში შემოგთავაზეთ ცხრა პროგრამა, დღევანდელი გაზეთის მე-5, 6 გვერდებზე კი გთავაზობთ დანარჩენ 5 პროგრამას.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოში

2024 წლის 7 თებერვალს, გაიმართა თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა, რომელსაც საკრებულოს თავმჯდომარე, გიორგი ბარათაშვილი ხელმძღვანელობდა.

სხდომის დაწყებისას, საკრებულოს თავმჯდომარემ, გიორგი ბარათაშვილმა, ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ ნერგეეთში მეწყერის ჩამოწოლის შედეგად დაღუპულების ოჯახებსა და ახლობლებს სამძიმარი გამოუცხადა. საკრებულოს წევრებმა და დამსწრე საზოგადოებამ წუთიერი დუმილით, პატივი მიაგეს გარდაცვლილთა ხსოვნას.

☞2

ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან

რუბრიკით: „ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან“ გთავაზობთ წერილებს, რომლებიც მომზადებულია საჯაროდ გამოქვეყნებული ინფორმაციების საფუძველზე.

მერის ახალი ინიციატივა მოსახლეობის ჩართულობით

გასულ კვირაში, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერმა, მანუჩარ რობაქიძემ ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებთან, ა(ა)იპების და სამსახურების ხელმძღვანელებთან მორიგი სამუშაო შეხვედრა გამართა.

შეხვედრაზე, მუნიციპალიტეტის მერმა სოფელ ზედა სიმონეთში მერის ახალ წარმომადგენლად—მერაბ ბაზაძე წარადგინა.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერმა ადმინისტრაციული ერთეულების წარმომადგენლებისგან სოფლებში არსებული საჭიროებების შესახებ მიიღო ინფორმაცია. მანუჩარ რობაქიძემ წარმომადგენლებს დაავალა, თითოეულ დასახლებაში, იმ დაზიანებული საგზაო მონაკვეთების მოძიება და შესწავლა, სადაც მუნიციპალიტეტის მერია, ტენდერის გამოცხადებისა და სატენდერო წინადადებების განხილვის შემდეგ, 300 m^2 ბეტონის საფარს დააგებს მოსახლეობის ჩართულობით.

აღნიშნული ინიციატივა, რომელიც მიმდინარე წელს საპილოტე რეჟიმში განხორციელდება, მანუჩარ რობაქიძემ პირველად „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში ჩატარებულ სოფლის კრებებზე გააჟღერა.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერმა, მანუჩარ რობაქიძემ, მოადგილეებთან,ზვიად ბაზაძესთან და მირზა ქოჩიაშვილთან ერთად ასევე მოისმინა ინფორმაცია მერიის ა(ა)იპებისა და სამსახურებში არსებული მდგომარეობის შესახებ.

სამუშაო თათბირზე, ხელმძღვანელმა პირებმა სამსახურების, განყოფილების, ასევე ა(ა)იპების ხელმძღვანელებისგან დეტალური ინფორმაცია მიიღეს დაგეგმილ და განსახორციელებელ პროექტებზე. მერის წარმომადგენლებთან ერთად კი სოფლებში არსებული გამოწვევების მოგვარების გზებზე იმსჯელეს.

თათბირზე ყურადღება გამახვილდა სოციალურ და ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, რომლებიც მოსახლეობის საჭიროებებზე იქნება გათვლილი. აღინიშნა რეგიონული განვითარების ფონდიდან დასაფინანსებელ იმ პროექტებზე, რომლებზეც ტენდერები უკვე დამთავრდა და ამჟამად მიდის შეფასება-შერჩევის პროცესი.

ეს პროექტები სულ 5,5 მლნ ლარის ღირებულებისაა. მათ ჩამონათვალს ჩვენი გაზეთის ამავე ნომრის მე-6 გვერდზე გთავაზობთ.

საბოლოო შედეგებზე დამატებით ინფორმაციას, ამ ინფრასტრუქტურულ პროექტებთან დაკავშირებით, ტენდერების შედეგებით გაკეთებული შეფასება-შერჩევის გათვალისწინებით გაგაცნობთ.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოში

1☞

საკრებულოს ამ სხდომაზე, დღის წესრიგის შესაბამისად, განიხილეს და მხარი დაუჭირეს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის, თემურ ქოჩიაშვილის მიერ წარმოდგენილ ერთ საკითხს. ასევე, ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, ბადრი ბუცხრიკიძის მიერ წარმოდგენილ ერთ საკითხს.

აღნიშნულ საკითხებზე საკრებულოს სხდომამდე, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის, ეკონომიკის და ქონების მართვის საკითხთა კომისიის, ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოსა“ და ბიუროს სხდომებზე იმსჯელეს.

საკითხების განხილვის შემდგომ სხდომა კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგრძელდა. საკრებულოს უმრავლესობისა და ოპოზიციის წარმომადგენლების შეკითხვებს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერმა - მანუჩარ რობაქიძემ და საკრებულოს კომისიის თავმჯდომარეებმა უპასუხეს.

სხდომაზე განიხილეს მომხდარი სტიქიის შედეგები. მუნიციპალიტეტის მერის განხცადებით, თერჯოლაში, სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოები დაუყოვნებლივ დაიწყო. აქტიურ რეჟიმში მუშაობდნენ და ადგილებზე იმყოფებოდნენ პირადად მუნიციპალიტეტის მერი - მანუჩარ რობაქიძე, საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატები, მერის მოადგილეები, მერიის შესაბამისი სამსახურები და სამუშაო ჯგუფები.

და, ვინ იცის, კიდევ რას

1☞

გვიპირებს გაავებული ბუნება...

ანხორციელებდა. ძებნა-შველის ღონისძიებაში ჩართული იყო კინოლოგთა ჯგუფი.

გარემოს ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, სოფელ ნერგეეთში, რთულ ტექტონიკურ და მორფოლოგიურ პირობებთან ერთად, მეწყრული პროცესის ჩასახვა-გააქტიურება, ძირითადად, 5-6-7 თებერვალს მოსულმა უხვმა ატმოსფერულმა ნალექებმა გამოიწვია.

ოფიციალური ინფორმაციით, ნერგეეთში მეწყერის სიმაღლე 30 მეტრი იყო, მეწყრული მასის საორიენტაციო მოცულობა კი 150 000 მ3-ს შეადგენდა. მიწის მასა გზის დაახლოებით 200-მეტრიან მონაკვეთზე ჩამოიშალა.

და კვლავ სამწუხაროდ... განსაკუთრებულად უხვი ნალექის მოსვლას, შტორმული ქარებიც მოჰყვა, რაც მნიშვნელოვანი ზარალის მომტანი გახდა თერჯოლის მუნიციპალიტეტისათვის.

სტიქიასთან ბრძოლისათვის შეიქმნა სპეციალური ჯგუფები, რომლებიც მერის, მანუჩარ რობაქიძის ხელმძღვანელობით, საგანგებო რეჟიმში მუშაობდნენ შედეგების სალიკვიდაციოდ.

მეწყერსაშიშ ზონებში მუშაობს საქართველოს გეოლოგიის სამსახური, გადაწყვეტილების მიღების შემდეგ აღნიშნულ ზონებში მცხოვრები მოსახლეობა შესაძლოა გადაყვანილ იქნეს ალტერნატიულ საცხოვრებლებში.

შედეგები მძიმეა...

ორი დღის განმავლობაში მოსულმა უხვმა ნალექმა და ძლიერმა ქარმა, თერჯოლის მუნიციპალიტეტში 102 საცხოვრებელი სახლი დააზიანა, მათგან რამდენიმეს მთლიანად გადახადა სახურავი, დაზიანებულია 4 საერთო საცხოვრებლის სახურავი, სოფელ რუფოთის ადმინისტრაციული შენობის და საბავშვო ბაღის სახურავები, ასევე ათამდე დამხმარე- ნაგებობა.

წვიმის შედეგად წყალმომარაგების სათავე-ნაგებობის დატბორვის გამო, სოფელ გოდოგნის, კვახჭირის, ჭოგნარისა და ბარდუბნის 1251 ოჯახს არ მიეწოდებოდა სასმელი წყალი. წყალმომარაგება ოპერატიულად ჩაერთო, ქალაქ თერჯოლაში, სადაც მთელი დღის განმავლობაში ხორციელდებოდა წყლის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

მეწყრული პროცესების გამო გადაკეტილი იყო თუზის გზა, სადაც ჭალის უბანში დილიდანვე მიმდინარეობდა გაწმენდითი სამუშაოები. მეწყერი ასევე ჩამოწვა თერჯოლაში, ვაჟა-ფშაველას ქუჩის სავალ ნაწილზე, მობილიზებული ტექნიკა დღის განმავლობაში ახორციელებდა გაწმენდით სამუშაოებს.

სტიქიის გამო, მდინარეებიდან გადმოსულმა წყლის ნაკადმა, დატბორა რამდენიმე ეზო და ნაკვეთი.

უამინდობამ და ნალექმა მეწყრული პროცესები გააქტიურა ბარდუბანი-ზედა სიმონეთის გზასა და ძევრი-ბედიაურის გზებზე.

სტიქიური მოვლენის გამო დაზიანდა ელექტროგადამცემი ხაზები და გაზმომარაგების ქსელიც.

შექმნილი მდგომარეობის ოპერატიულად დარეგულირებისათვის მუნიციპალიტეტის მერი, მანუჩარ რობაქიძე, მერის მოადგილეები ზვიად ბაზაძე, მირზა ქოჩიაშვილი, მერის შესაბამისი სამსახურები და საგანგებო ჯგუფების წევრები მობილურ რეჟიმში იმყოფებოდნენ ყველა საგანგებო ადგილზე, ეცნობოდნენ სიტუაციას და ოპერატიულად ღებულობდნენ საჭირო გადაწყვეტილებას. შედეგად, ყველა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პრობლემა—ელექტროენერგიის, გაზის, წყლის მიწოდება, მაქსიმალურად ოპერატიულად შესაძლებელ ვადაში მოგვარდა.

სტიქიის შედეგების საბოლოოდ ლიკვიდაციისათვის, დამდგარი შედეგების გათვალისწინებით, მერიის მიერ მომზადებული წინადადებების საფუძველზე, უახლოეს პერიოდში მომზადდება რეაგირების შესაბამისი დოკუმენტი.

თებერვლის სტიქიამ და მომხდარმა ტრაგიკულმა შემთხვევებმა კიდევ ერთხელ და უკვე მერამდენედ გააფრთხილა საზოგადოება, შესაბამისი საჯარო სამსახურები და უწყებები, რომ ჩვენ ბევრად მეტს ვღებულობთ ბუნებისაგან, ვიდრე მისი ბალანსის შენარჩუნებისათვის ვაკეთებთ.

„თერჯოლა“

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საშობაო ეპისტოლე

მეორე ნაწილი

7 იანვარი—ქრისტეშობა, 2024 წელი

ქრისტიანულმა სარწმუნოებამ უდიდესი წვლილი შეიტანა და გადამწყვეტ ფაქტორად იქცა მრავალი ქვეყნის ისტორიაში, მათ შორის, ევროპის და სხვა სახელმწიფოთა ფორმირებაში; მაგრამ უფლის მეორედ მოსვლამდე, ანუ მარადიული სასუფევლის დამყარებამდე, მუდმივად იქნება ბრძოლა კეთილსა და ბოროტს შორის, მუდმივად დაგვჭირდება სულ უფრო მეტი ძალისხმევა სიწმინდის დასაცავად, რადგან ეს დაპირისპირება თანდათან უფრო მასშტაბურ ხასიათს იღებს.

ავიღოთ თუნდაც ჩვენი დრო.

სამყარო ყოველთვის წინააღმდეგობრივი იყო, მაგრამ დღევანდელ კონფლიქტებსა და ომებს თან სდევს რეალური საშიშროება იმისა, რომ ნებისმიერი მათგანი მსოფლიო კატასტროფად იქცეს და მთელი კაცობრიობა გაანადგუროს. ამიტომაც ყველას, ჩვენი შესაძლებლობებისამებრ, გვმართებს ზრუნვა მშვიდობისთვის. ღმერთმა მშვიდობით აკურთხოს უკრაინა, ახლო აღმოსავლეთი და მთელი მსოფლიო.



მოგეხსენებათ ისიც, რომ ბოლო საუკუნეებში შესუსტდა ჭეშმარიტი რწმენა და იმძლავრა უღმერთობამ; შემოქმედის ადგილი ადამიანმა თავისი თავით ჩაანაცვლა. წინ წამოიწია პრინციპმა, - ჩემი მორალი და შეხედულება განსაზღვრავს ჩემს რწმენას; მაშინ, როდესაც სწორედ რწმენა ღვთისა და მისმიერი მცნებები განსაზღვრავს მორალსაც და შეხედულებებსაც.

დღეს, როგორც არასდროს, გაჩნდა რეალური საშიშროება იმისაც, რომ ადამიანის ეგოცენტრულობამ საფრთხე შეუქმნას იმ მიზანს, რისთვისაც საერთოდ დავიბადეთ, რადგან მსოფლიო ტექნოლოგიურად ვითარდება, მაგრამ მას ჩვენი სულიერი წინსვლა ჩამორჩება და ვდგებით მრავალი ფსიქოლოგიური და ბიოეთიკური გამოწვევის წინაშე.

ჩვენს ცხოვრებაში უკვე განსაკუთრებულ ადგილს იკავებს ხელოვნური ინტელექტიც, რასაც სამეცნიერო წრეებში მანქანური სწავლებით მიღებული ხელოვნური ინტელექტის მოდელს უწოდებენ.

ცნობილია, რომ ხელოვნური ინტელექტი არის კაცობრიობის მიერ დაგროვილი ცოდნის ჯამი, კოლექტიური ცოდნა, რომელიც ალგორითმებით იძლევა შესაბამის ინფორმაციას. ამ საშუალებით ადამიანს ექნება წვდომა მრავალგვარ მონაცემებზე მისთვის სასურველ ნებისმიერ სფეროში, რაც ტექნოლოგიურ წინსვლას კიდევ უფრო დააჩქარებს.

ხელოვნურ ინტელექტს აქვს პოტენციალი, უდიდესი გარდატეხა შეიტანოს ჩვენს ცხოვრებაში და მთლიანად შეცვალოს ჩვენი ყოველდღიურობა, თუმცა, ადამიანის სულიერი განვითარების გარეშე, მოსალოდნელი უარყოფითი შედეგებიც აუცილებლად გასათვალისწინებელია.

უფრო და უფრო მკვეთრად დგება კითხვა: შეძლებს ადამიანი, გააერთიანოს ქრისტიანული ცხოვრების წესი და თუნდაც ხელოვნური ინტელექტის შესაძლებლობები და ღვთის სადიდებლად მიმართოს იგი? თუ თავის თავში დაჯერებული, თავისივე ქმნილებით მოხიბლული და მასზე მიჯაჭვული ადამიანი ღმერთს კიდევ უფრო განეშორება?

ვფიქრობ, მეტად მნიშვნელოვანია ფსიქოლოგების და იმ სპეციალისტების შეხედულებების გაცნობა, რომლებთაც ხელოვნურ ინტელექტთან აქვთ შეხება, რადგან უახლოეს მომავალში ყველა ამ ახალი რეალობის წინაშე აღმოჩნდება და აუცილებელია, ჩვენი საზოგადოება მომზადებული შეხვდეს მას.

ერთი რამ კი ცხადია: თითოეული ჩვენგანი უნდა ისწრაფვოდეს პიროვნული სრულყოფილებისკენ, რაც უპირველეს ყოვლისა, ღვთის შეცნობის და მისი ჭეშმარიტების წვდომის სურვილს გულისხმობს.

ღმერთი ლოგიკურ კატეგორიებზე მაღლა დგას, ადამიანური გონება მას ვერ მისწვდება ვერც კაცობრივი ცოდნის მთლიანი ჯამით და ვერც ინფორმაციის სისავსით, ამიტომაც, ცოდნასთან ერთად, საჭიროა რწმენა და ღვთიური მადლით აღვსება, რომ ადამიანი წარმართულ მდგომარეობას არ დაუბრუნდეს.

* * *

ღვთის ერში, ძველი აღთქმის წიაღში, დაიბადა დედათა შორის კურთხეული, ყოვლადწმინდა ქალწული, რომლის მიერაც იშვა მაცხოვარი სოფლისა, - ადამისა და ევას ცოდვათა და ცრემლთა აღმხოცველი.

უფალი მოვიდა ამქვეყნად, რათა კვლავ გაეგრძელებინა განსწავლა კაცობრიობისა, როგორც ამას ედემში, ჩვენს პირველ მშობლებთან მიმართებაში იქმოდა.

ქრისტიანობის ისტორია სავსეა ჭეშმარიტად განსწავლული ადამიანებით, რომელთა შრომები სიბრძნის ულევი წყაროა.

გავიხსენოთ მოციქულები, აგრეთვე, წმინდა მამები: ბასილი დიდი, გრიგოლი ღვთისმეტყველი, იოანე დამასკელი, იოანე ოქროპირი, ეფრემ ასური და სხვანი მრავალნი.

გავიხსენოთ სოლომონ ბრძენიც და მისი სიტყვები: „მან (ღმერთმა) მომცა მე არსებულთა უტყუარი ცოდნა, რათა შემეცნო სამყაროს წყობა და სტიქიათა მოქმედება, დასაბამი, დასასრული და შუახანი, მზებუდობათა მონაცვლეობა და არეთა შენაცვლებანი, წელიწადის ბრუნვა და ვარსკვლავთა განლაგება, ცხოველთა ბუნება და მხეცთა თვისება, ქართა ქროლვა და კაცთა ზრახვანი, მცენარეთა მრავალფეროვნება და ფესვების ძალა. ყოველივე შევიცანი, დაფარულიც და განცხადებულიც, რადგან სიბრძნემ განმსწავლა, ყოველთა შემოქმედმა“ (სიბრძნე სოლომონისა 7, 17- 21).

მოვიხსენოთ ადამიც, რომელსაც, ყველასაგან განსხვავებით, სამოთხისეული განსწავლა, შემდგომ კი, ჩადენილი ცოდვის გამო, ღრმა სინანული ჰქონდა.

ამიტომაც მან და მისმა შვილმა, სეითმა, მთელი ცოდნა და ძალისხმევა ღმრთის სათნოყოფისთვის და მარადიულ ნეტარებაში დაბრუნებისკენ მიმართეს; განსხვავებით კაენისა და მისი შთამომავლებისაგან, რომელთაც ღმერთი დაივიწყეს და თავისი მონდომება ამქვეყნიური კეთილდღეობისკენ წარმართეს; აღარ ზრუნავდნენ სულზე და სიკვდილის შემდგომი მდგომარეობაც აღარ აინტერესებდათ.

კაცობრიობაც მთელი თავისი განვითარების მანძილზე ამ ორ გზას შორის მერყეობდა და მერყეობს.

როგორი იქნება ჩვენი არჩევანი?

თუ შევძლებთ სწორი ურთიერთობები ვიქონიოთ ღმერთან, ადამიანთან, ბუნებასთან, მიკრო და მაკრო კოსმოსთან, ვერავითარი ტექნოლოგიური მიღწევა ვერ გაგვაუცხოებს შემოქმედისგან, არამედ მათი მართებულად გამოყენების შემთხვევაში, იგი იქცევა ჩვენი გონებრივი და სულიერი წინსვლის დიდ საშუალებად.

ამიტომაც დღეს ყველაზე მეტად გვესაჭიროება მაცხოვრის შობის საიდუმლოს გაცნობიერება, რადგან დედამიწაზე განხორციელებული ქრისტე ყოველ დროს და ყველა ეპოქაში გვწინამძღვრობს, გვიჩვენებს სწორ გზას და გვანიჭებს ხსნას.

იგია სრული სიყვარული და სიკეთე, სრული ცოდნა, მშვიდობა და სიბრძნე, რომელიც მარადიულად და დაუსრულებლად განაახლებს, განაბრძნობს და განწმენდს მის თანაზიართ.

ყველას, ვინც მაცხოვრის შობის სიხარულით ცოცხლობს, ვულოცავ ამ დიდებული დღის შემობრძანებას. ვულოცავ ზეციურ და მიწიერ სამყაროს, სრულიად საქართველოს, თითოეულ თქვენგანს; ვულოცავ ხელისუფალთ, უცხოეთში მყოფ თანამემამულეთ, ჩვენს ერთგულ მრევლსა და სასულიერო პირებს! ვულოცავ ჯარისკაცებს, სპორტსმენებს, მეზღვაურებს, ექიმებს და ქვეყნის კეთილდღეობისათვის ყველა სხვა დამაშვრალს; ვულოცავ მოხუცებსა და ახალგაზრდებს, სტუდენტებს, პროფესორ-მასწავლებელს, მოსწავლეებს, განსაკუთრებით კი, ბავშვებსა და ახალშობილებს; ვულოცავ პატიმრებს, სნეულებაში მყოფთ და მშობლების მზრუნველობას მოკლებულთ...

ყველას გლოცავთ და გახარებთ მხსნელის მოვლინებას!

სულიერად განმტკიცდით და გაძლიერდით, და არაფრის შეგეშინდეთ!

უფალთან არ დაგეკარგებათ თუნდაც ერთი გულითადი ლოცვა და სინანულის ცრემლის ერთი წვეთიც კი.

გწამდეთ, ყველაფრის მიუხედავად, იესო ქრისტეს ყოველთვის ჩვენთვის მაცხოვნებელი გზით მივყავართ, ამიტომაც მუდამ იყავით მადლიერნი მისი და გქონდეთ სასოება.

ვინც ღმერთი ჰპოვა, უმთავრესი შეიძინა; ღმერთს განშორებული სული კი კვდება, როგორც სულს გაყრილი სხეული.

და კიდევ, - ყველა და ყველაფერი უძლურია იქ, სადაც უფალი თავის ძალას ავლენს.

„უპირატეს ჟამთა მამისგან შობილსა ძესა და ქალწულისაგან ხორცშესხმულსა, ყრმანი აქებდით, მღვდელნი უგალობდით და ერნი უფროისად აღამაღლებდით უკუნისამდე“ (ძლისპირი), ამინ!

ბეთლემში შობილი იესოს სიყვარულით თქვენთვის მლოცველი,

ილია II

სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი”.

საჭირო პროფესიის ადამიანები

თავმდაბალი კაცი

თერჯოლაში ყოველთვის იყვნენ გამორჩეულად ოქროსხელება ადამიანები, რომლებიც მოსახლეებს ცხოვრებისეულ პრობლემებს უგვარებდნენ. საწამლი აპარატი იყო შესაკეთებელი—შეუკეთებდნენ, ბოქლომურდული გაეჭედებოდათ—გაუღებდნენ და ა.შ. დღესაც ახსოვთ ჩხარელი ვოლკინი, თერჯოლელი შოთა რობაქიძე და გიორგი მორალიშვილი, რუფოთსა და თერჯოლაში კიდევ ვინ არ იცნობს მურთაზ ჯაჯანიძეს.

მათ მადლიან ხელს არაერთი თავსატეხი მოუგვარებია კუთხე-მეზობლისათვის და არა მარტო. ამ ადამიანების ტრადიციებს აგრძელებს როსტია, იგივე როსტომ ლილუაშვილი. ასეთ თვითნასწავლ პროფესიონალებს არცერთ დროში არ უჭირდათ სამსახურის შოვნა და რა გასაკვირია თუ ჩვენი წერილის ადრესატი აგერ წყალთამეურნეობაში მუშაობს 15 წელია ზეინკლად. სპეციფიკიდან გამომდინარე ეს საპასუხისმგებლო საქმეა და როსტიაც (მას სიყვარულით ასე უძახის შინაური თუ გარეშენი) არათუ თავის უშუალო საქმეს ართმევს თავს, არამედ მუდამ იქაა, სადაც სამსახურს სჭირდება რთული პრობლემების მოსაგვარებლად.

„თუ როსტომი ადგილზეა და ჯანზეა (ავადმყოფობა ღმერთმა აშოროს), გული საგულეს მაქვს — ამბობს დაწესებულების ხელმძღვანელი ელისო ქოჩიაშვილი — კანალიზაციის ქსელი, განსაკუთრებით ქალაქის წყალგაყვანილობის სისტემა მუდმივ ყურადღებას საჭიროებს. პერიოდულად ისეთი ავარიული შემთხვევები იჩენს ხოლმე თავს მთელი დღე-ღამის მკლავდაკაპიწებული შრომაა საჭირო მათ აღმოსაფხვრელად.

ღვთის მადლით როსტომის და სამსახურის სხვა თანამშრომელთა დახმარებით ასეთი კერების ლოკალიზება და შეკეთება სწრაფად ხდება. უზომოდ მადლიერნი ვართ ამ თავდადებული და უღალატო კაცის, იგი თავის შრომით მთელ კოლექტივში სიყვარულით და პატივისცემით სარგებლობს.“

მეტის თქმა და შტრიხები აღარცაა საჭირო როსტომ ლილუაშვილის პორტრეტის დახატვისათვის, მაგრამ არ შეიძლება არ დავსძინოთ, რომ როსტია კარგი ოჯახის მამაცაა. გამართული მეურნეობა აქვს, ყურძენიც მოჰყავს და სიმინდიც, არც მწვანილის საყიდლად დადის ბაზარში ბევრივით. ოჯახთან ერთად იწევს პურს არსობისას. დღეის პირობაზე ნორმალურად ცხოვრობს, ჭიშკარზე დაძახებული კაცის არ ეშინია, ისე არ გაუშვებს ჭიქა ღვინით ოჯახი თუ არ დაალოცვინა, სამშობლოს დღეგრძელობის და კუთხე-მეზობლის გამარჯვების სასმისი არ შეასვა.

რომ ვუთხარით გაზეთში გვინდა თქვენი გაწერაო, იუარა, აბა მე ვინა ვარ ისეთი, ჩემს საქმეს ვაკეთებ საოჯახოს და სამსახურებრივს, ეს ჩემი ცხოვრებისეული ვალია, უკეთესი იმდენია, რამდენიც გნებავთ, ისინი გაწერეთო...

იმდენი რომ იყოს „რამდენიც გვნებავს“, მაშინ რა გვიჭირდა, იქნებ ამ ჩვენი შეთხელებული სოფლებიდან მიგრაცია შეჩერებულიყო და დამოკლეს მახვილივით თავს დაკიდებული შიში დაცარიელებისა გამქრალიყო.

კარგი მაგალითი გადამდებია, თავის საქმეს, ოჯახს და ეზორიადაგეს შეყვარებული კაცი რომ გაგაცანით მკითხველებს ვთვლით, რომ რაღაც საჭირო საქმე გავაკეთეთ.

ი. ერაძე

მენტორი მასწავლებელი— ბუნებით ნოვატორი

ეს მაკა ჭანტურიძეა—ახალთერჯოლის საჯარო სკოლის ქიმია-ბიოლოგიის მასწავლებელი, რომელმაც ხუთჯერ შეძლო მასწავლებელთა პროფესიული უნარებისა და კომპეტენციის დადასტურება:

სასერთიფიკაციო გამოცდების საფუძველზე მოპოვებული აქვს ბიოლოგიის, ქიმიის და I-IV კლასის ბუნებისმეტყველების, ბიოლოგიის ექსპერიმენტული ნაწილისა და სპორტის მასწავლებლის სერთიფიკატები. 2019 წელს მიენიჭა წამყვანი მასწავლებლის სტატუსი, 2023 წელს გახდა მენტორი მასწავლებელი, აქვს მაგისტრის ხარისხი.

მუშაობის 23 წლის მანძილზე, სამართლიან, გულისხმიერ, ნიჭიერ, შემოქმედებითი უნარებითა და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობით გამორჩეულს, პროფესიაზე უზომოდ შეყვარებულ ადამიანს უყვარს ბავშვები, იცის, როგორ დაამყაროს მოსწავლეებთან პოზიტიური ურთიერთობები. მაკა მათთვის არა მარტო კარგი მასწავლებელია, არამედ კარგი მეგობარი. ამ მეგობრობას იგი კარგად იყენებს, როგორც კლასის დამრიგებელი. სადამრიგებლო პროგრამის ფარგლებში ბევრ საინტერესო ღონისძიებას ანხორციელებს. მშობლებს მოსწონთ და ემადლიერებიან მას, როგორც საიმედოს მათი შვილებისათვის. მისგან მოსწავლეები იღებენ სიღრმისეულ ცოდნას, ეუფლებიან დამოუკიდებელ აზროვნების, უნარ-ჩვევებს. ამის დასტურია სხვადასხვა სასკოლო, რაიონულ თუ რესპუბლიკურ კონკურსებში, კონფერენციებსა და ოლიმპიადებში მაკა ჭანტურიძის მოსწავლეების მონაწილეობა და გამარჯვება. მისი მოსწავლეები დაჯილდოვდნენ პირველი ხარისხის დიპლომებით ტურიზმისა და მთამსვლელობის, ქიმიის, ბიოლოგიის, ეკოლოგიისა და გარემოს დაცვის, ფსიქოლოგიის სექციებში გამარჯვებისთვის. მოსწავლეახალგაზრდობის ეროვნული სასახლის მიერ ყოველწლიურად მიღებული მადლობის სიგელი განსაკუთრებული ღვაწლისათვის, მაკასთვის მეტად ღირებულია.

პირველი ხარისხის დიპლომები არაერთჯერ აქვს მიღებული მასწავლებელთა რაიონულ კონფერენციებში მონაწილეობისთვის.

წლების განმავლობაში, ქიმიისა და ბიოლოგიის წრეებში მაკას მოსწავლეთა ჩართვა ხელს უწყობდა წარმატებით დაეძლიათ საატესტატო და ეროვნული გამოცდები. მისი ხელმძღვანელობით ბევრი საინტერესო ღონისძიება ტარდება. „ყველაზე ჭკვიანი ბუნებისმეტყველი“, კონკურსი „მოლის დღე“ და სხვა.

მაკას სამოდელო გაკვეთილები

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროექტის „ილია ჭავჭავაძე“ ფარგლებში ჯერ კიდევ 2004 წელს განხორციელდა სკოლის მდგრად განვითარებასთან დაკავშირებული ცვლილებების დანერგვა. უზიარებდა კოლეგებს ტრენინგზე მიღებულ გამოცდილებას. იგი, როგორც მასწავლებელთა შეფასების ჯგუფის წევრი, ფასილიტატორი ეხმარებოდა მასწავლებლებს სტატუსის ამაღლებაში. დღეს სკოლის ყველა მასწავლებელი სერთიფიცირებულია, წარმატებით აქვს გავლილი, „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი საქართველოს“ მასწავლებელთა და სკოლის დირექტორთა პროფესიული განვითარების პროექტის ფარგლებში, აშშ-ის „ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის“ მხარდაჭერილი „ლიდერობის აკადემიის“ მოდულები. როგორც ლიდერი მასწავლებელი ხელმძღვანელობდა რაიონის მასწავლებელთა სამუშაო ჯგუფებს, დაგეგმილი აქვს სამუშაო შეხვედრები. კოლეგებისა და სკოლის საჭიროებებიდან გამომდინარე ზრუნავს საკუთარი და კოლეგების პროფესიულ განვითარებაზე, უზიარებს მათ ცოდნასა და გამოცდილებას. მის მიერ შექმნილი საგანმანათლებლო, მატერიალური და ელექტრონული რესურსები, ხელმისაწვდომია ყველა მოსწავლისა და მასწავლებლისათვის. ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის მიერ მისი ხელმძღვანელობით განხორციელდა მრავალი სასარგებლო აქტივობა, სხვა კათედრებთან ერთად და ამით დაეხმარა იგი მასწავლებლებს პროფესიულ განვითარებაში.

მაკა თვლის, რომ არაფორმალურ განათლებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, იგი ეხმარება მოსწავლეს კარიერულ წარმატებაში და ინტერესების უკეთ წარმოჩენაში. მისი ხელმძღვანელობით სკოლაში ფუნქციონირებს ეკოკლუბი, რომელიც ეკო-საგანმანათლებლო პროექტების ფარგლებში უამრავ გარემოსდაცვით ღონისძიებას ახორციელებს. ეკო კლუბი „შემართებულები“ წარმატებით მონაწილეობდა კონკურსში „ნიკო კეცხოველის პრემია 2023“. კლუბი 150 გამორჩეული გუნდიდან ფინალურ ეტაპზე მოხვდა, მონაწილენი დაჯილდოვდნენ დიპლომებით, წიგნებით და მაისურებით (კონკურსის მხარდამჭერი ავსტრიის განვითარების თანამშრომლობა). მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრთან ურთიერთობა ხელს უწყობთ ინტელექტუალურ თამაშებში მონაწილეობასა და გამარჯვებაში.

დღის ცენტრ „იმედის სხივთან“ თანამშრომლობა საინტერესოა როგორც შშმ ბავშვთა დღის ცენტრის, ისე სკოლის ეკო-კლუბისათვის. ხელს უწყობთ საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრთან თანამშრომლობა, მათ მიერ ორგანიზებულ კონკურსში „ჩვენ ვსწავლობთ ბიბლიას“ მონაწილეობა.

ზრუნვა სასოფლო თემის განვითარებაზე

ნაყოფიერი იყო მოსწავლეთა ერთი ჯგუფის შეხვედრა გარემოს დაცვის ეროვნულ სააგენტოში. ინჟინერ-ეკოლოგთა ჯგუფს მიაწოდეს ინფორმაცია სოფლებში არსებულ მეწყრულ-ეროზიული პროცესების მაქსიმალურად გააქტიურების შესახებ, სტიქიური პროცესებისა და საინჟინრო გეოლოგიური სამმართველოს თანამშრომლებმა მოახდინეს მონიტორინგული სამუშაოების შესრულება სოფელში დაზიანებული სახლების და საკარმიდამო ნაკვეთების ვიზუალური საინჟინრო გეოლოგიური შეფასება. დასკვნის საფუძველზე მეწყრულ არეალში მოხვედრილ 3 ოჯახს სახელმწიფომ შეუძინა საცხოვრებელი სახლი. ამ კუთხით მაკა და მისი მოსწავლეები აგრძელებენ მუშაობას.

ჟუჟუნა ცხადაძე

მალე გაზაფხული მოვა

სიმინდი—შეუცვლელი კულტურა

სიმინდის კულტურა საქართველოსთვის მეტად მნიშვნელოვანი იყო და არის, ამაზე თუნდაც ის მეტყველებს, რომ ამ ეტაპზეც კი ჩვენში 1 კილოგრამი სიმინდის ფქვილი დაახლოებით 5-6 ლარი ღირს. ეს მაშინ, როცა გაძვირებული ხორბლის ფქვილის ფასი 2 ლარს ზემოთ არ ასულა. რატომ არის ასეთი მაღალი ფასი სიმინდზე? ამას სხვადასხვა მიზეზი აქვს, მათ შორის ის, რომ შარშანწინ სიმინდის მოსავალი, ფაქტობრივად მინიმალური იყო. გაუსაძლისმა სიცხეებმა და ძლიერმა ქარებმა სიმინდის ყანები მიწასთან გაასწორა.

საგულისხმოა, რომ სიმინდი მთელ მსოფლიოში გაძვირდა. მის საფურაჟე სარგებლობაზე მაღალი მოთხოვნის გამოც საქართველოში საკვები სიმინდი თითქმის ერთადერთი კულტურაა, რომელიც სხვა ჯიშებით ვერ ჩანაცვლდა და არც ჩანაცვლდება. ხანგრძლივი დროის განმავლობაში სიმინდზე მომუშავე გლეხურმა სელექციამ ეს კულტურა შეუცვლელი გახადა.

რატომ გაძვირდა საკვები სიმინდი, რატომ გაჭირდა მარცვლეულის მოყვანა? ამ და კულტურასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე ვესაუბრეთ გამოცდილ, ვეტერან მეურნეს, ზედა ალისუბნელ ამირან დიაკონიძეს.

სიმინდი ქართველი კაცისათვის, განსაკუთრებით დასავლეთის რაიონების მცხოვრებთათვის, გვითხრა მან, მუდამ შეუცვლელი კულტურა იყო. ადრეც და განსაკუთრებით მეორე მსოფლიო ომის წლებში, სიმინდმა გადაარჩინა ჩვენი ხალხი შიმშილს. ვაზთან ერთად იგი იყო შემოსავლის წყაროც, ამიტომ უვლიდა და ელოლიავებოდა მას. დღესდღეობით პურია ძირითადი საკვები, თუმცა ის ფაქტი, რომ საკვები სიმინდის დეფიციტია და ფქვილის ფასიც რეკორდული გახდა, მიანიშნებს ამ კულტურის დიდ მოთხოვნილებაზე. მიუხედავად უამრავი ჰიბრიდული ჯიშების შემოსვლისა, რომლებიც ძირითადად საფურაჟეა, არ ნიშნავს, რომ საკვები სიმინდის კულტურას შეგვიცვლის. ამჟამად შემოტანილი სიმინდის მარცვლეული (ყვითელი ჯიშები) 1 კგ. 70 თეთრი ღირს. არ არსებობს, უფრო სწორად არ არსებობდა სოფლად მცხოვრები, რომელსაც ტრადიციული ქართული სიმინდი არ მოჰყავდა. საუკუნეთა განმავლობაში ქართული სიმინდი იმდენად დამუშავდა და გაკეთილშობილდა გლეხური სელექციით, საუკეთესოა ყველა იმ ჯიშებს შორის, რომლებსაც ვიცნობთ. მოსავალიც კარგი მოვლის პირობებში ოპტიმალური მოდის—ჰექტარზე დაახლოებით 2,5-3 ტონა.

მაგრამ ახლა მეურნეებმა, ვისაც სიმინდი მოჰყავდა მიატოვა ფართობები და ის ბარაქიანი სავარგულები, რომლებსაც „სიმინდის ბეღელი“ ერქვა ადრე, კერძოდ: „საცხენიაში“, „აჯამეთში“, „თხილიბარდსა“ და „ჟავეთაში“ გაველურებულია და გატყევებულია, ერთეული გამონაკლის გარდა. სხვა ხელისშემშლელი მიზეზებიცაა — ძალზედ გაძვირდა საწვავსაცხები მასალები, არასაკმარისია ტექნიკა, მეურნე, რომ შემოდგომასა და გაზაფხულზე ტრაქტორს დაეძებს დასახნავად, შემოდგომაზე პურის აღების დროს, კომბაინს და ისიც ტექნიკისა და მოწინავე ტექნოლოგიების საუკუნეში ასე სასურველ მოსავალს ვერ მივიღებთ. რაღა სხვაგან წავიდე, ჩემს საახლობლოში, სადაც თავის დღე და მოსწრება სიმინდს თესავენ, ბოლო წლებია, რიგიანი მოსავალი ვერ მივიღეთ.

—საჭიროა ახალი ჯიშებიც. მაგრამ მეურნე, ანუ ფერმერი ახალ ჯიშს რომ ენდოს, დარწმუნებული უნდა იყოს, რომ კარგ მოსავალს მიიღებს. ჯერ ერთი საჭიროა, რომ ამ ჯიშებს მოსახლეობაში პროპაგანდა გაეწიოს და მეორეც—უნდა მოეწყოს სადემონსტრაციო ნაკვეთები. როცა ყველა დარწმუნდება, რომ ახალი ჯიში რენტაბელურია, მას დათესავს აუცილებლად.

—საგულისხმოა, ისიც, რომ ისე გამრავლდა მავნებელ-დაავადებები, რომ ჭირს მათთან გამკლავება. ნახეთ, ბზა თითქმის გადაშენდა, უჭირს კაკალს, ატამს, ვაშლს, ბალს... სიმინდიც არაა გამონაკლისი, მარტ-აპრილიდან უკვე ჩრჩილი უჩნდება. დაინტერესებულ პირებს ვურჩევ გამოიყენონ მარტივი მეთოდი, გამოფშვნილი სიმინდი, გაზაფხულის წინ, მოათავსონ პოლიეთილენის ჭურჭელში, გერმეტულად დახურული საცავი სიმინდს არანაირ ცოცხალ ორგანიზმს არ გააკარებს. შესაბამისად, სიმინდიც დაჭიანებას გადაურჩება.

ესაუბრა ი. ერაძე

თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის სოციალური პროგრამები

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ახალშობილთა ოჯახების ფინანსური მხარდაჭერის 2024 წლის პროგრამა

დამტკიცებულია თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 10 იანვრის სხდომაზე (განკარგულება გ-29. 292401014)

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. პროგრამის სახელწოდება: თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ახალშობილთა ოჯახების ფინანსური მხარდაჭერის 2024 წლის პროგრამა.

2. პროგრამის დაწყების და დამთავრების თარიღი: 1 იანვარი 2024 წელი – 31 დეკემბერი 2024 წელი.

3. პროგრამის ბიუჯეტი: 50 000 (ორმოცდაათი ათასი) ლარი.

4. პროგრამის დაფინანსების წყარო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტი.

5. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია.

მუხლი 2. პროგრამის მიზანი:

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ახალშობილთა ოჯახების მატერიალური დახმარების გაწევა.

მუხლი 3. პროგრამით მოსარგებლე პირთა კატეგორია:

პროგრამით მოსარგებლე პირთა კატეგორიაა ახალშობილთა ოჯახები (მშობლები), რომლებიც აკმაყოფილებენ ამ მუხლის მოთხოვნებს და განცხადების წარმოდგენის დროისათვის კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებულნი არიან თერჯოლის მუნიციპალიტეტში, კერძოდ:

ა) ბავშვის მშობლები, რომლებიც განცხადების დაწერის დროისათვის რეგისტრირებულნი არიან თერჯოლის მუნიციპალიტეტში;

ბ) მარტოხელა მშობელი (დედა ან მამა), რომელიც განცხადების დაწერის დროისათვის რეგისტრირებულია თერჯოლის მუნიციპალიტეტში.

მუხლი 4. მუნიციპალიტეტში წარსადგენი დოკუმენტაცია, დახმარების ოდენობა:

1. ამ პროგრამით განსაზღვრულ ოჯახებს ფინანსური დახმარება მიეცემათ თითოეულ ახალშობილზე ერთჯერადად, შემდეგი ოდენობით:

ა) პირველ ახალშობილზე 250 (ორასორმოცდაათი) ლარი;

ბ) მეორე ახალშობილზე 300 (სამასი) ლარი;

გ) მესამე, მეოთხე 400 (ოთხასი) ლარი;

დ) მეხუთე და ა.შ. ახალშობილზე 500 (ხუთასი) ლარი.

ე) ტყუპების შემთხვევაში 1000 (ათასი) ლარი.

2. ახალშობილთა ოჯახებზე ფინანსური დახმარება გაიცემა განცხადების საფუძველზე, რომელსაც ერთ–ერთი მშობელი წარუდგენს მუნიციპალიტეტის მერიას ბავშვის დაბადებიდან არაუგვიანეს ერთი წლის ვადაში.

3. განცხადებას თან უნდა დაერთოს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) ბავშვის (ბავშვების) დაბადების მოწმობის ასლი;

ბ) მშობლების პირადობის მოწმობის ასლები;

გ) განმცხადებლის საბანკო ანგარიშის ნომერი.

მუხლი 5. ახალშობილთა ოჯახებზე ფინანსური დახმარების გაცემის წესი:

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილ განცხადებას განიხილავს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური და თანდართული დოკუმენტაციის პროგრამასთან შესაბამისობის დადგენის შემდეგ ამზადებს მერიის ბრძანების პროექტს.

2. მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების გამოცემის შემდეგ თანხის გაცემას უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახური მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

გიორგი ბარათაშვილი,
თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 18 წლამდე შშმ პირთა სარეაბილიტაციო მომსახურეობის თანადაფინანსების 2024 წლის პროგრამა

დამტკიცებულია თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 10 იანვრის სხდომაზე (განკარგულება გ-29. 29240105)

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. პროგრამის სახელწოდება: თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 18 წლამდე შშმ პირთა სარეაბილიტაციო მომსახურეობის თანადაფინანსების 2024 წლის პროგრამა.

2. პროგრამის დაწყების და დამთავრების თარიღი: 01 იანვარი 2024 წელი – 31 დეკემბერი 2024 წელი.

3. პროგრამის ბიუჯეტი: 10 000 (ათი ათასი) ლარი.

4. პროგრამის დაფინანსების წყარო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტი.

5. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია.

მუხლი 2. პროგრამის მოსალოდნელი შედეგები:

პროგრამის სრულყოფილად განხორციელება ხელს შეუწყობს თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 18 წლამდე შშმ პირთა რეაბილიტაციას.

მუხლი 3. სამედიცინო მომსახურების დაფინანსების ოდენობა:

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 18 წლამდე შშმ პირთა რეაბილიტაცია დაფინანსდეს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან წელიწადში არა უმეტეს 350 (სამასორმოცდაათი) ლარისა.

მუხლი 4. პროგრამით მოსარგებლე პირთა კატეგორია:

1. პროგრამით სარგებლობის უფლება აქვს თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ პირს.

მუხლი 5. მუნიციპალიტეტის მერიაში წარსადგენი დოკუმენტაცია:

შშმ პირის მშობელი თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარადგენს განცხადებას, რომელსაც თან უნდა დაერთოს:

ა) მშობლების პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი ან არასრულწლოვნის რეგისტრაციის ბარათი, ასევე დაბადების მოწმობის ასლი;

ბ) ცნობა, პროგრამით სარგებლობის მსურველი პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა N100).

გ) გასაწევი სამედიცინო მომსახურების ხარჯების მოცულობის განმსაზღვრელი დოკუმენტი (ინვოისი, კალკულაცია) შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებიდან.

დ) შეთანხმება სამედიცინო დაწესებულებასა და პაციენტის წარმომადგენელს შორის (დავალიანების არსებობის შემთხვევაში)

ე) შ შ მ პირის დამადასტურებელი დოკუმენტი.

მუხლი 6. სამედიცინო მომსახურების დაფინანსების წესი:

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილ განცხადებას განიხილავს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური და ამზადებს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების პროექტს.

2. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების საფუძველზე, სამედიცინო მომსახურების დასაფინანსებელი თანხის ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით სამედიცინო დაწესებულების შესაბამის ანგარიშზე, რასაც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახური.

გიორგი ბარათაშვილი,
თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უკიდურესად გაჭირვებული და მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების საკვები პროდუქტებით მხარდაჭერის 2024 წლის პროგრამა

დამტკიცებულია თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 10 იანვრის სხდომაზე (განკარგულება გ-29. 292401013)

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. პროგრამის სახელწოდება: თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უკიდურესად გაჭირვებული და მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების საკვები პროდუქტებით მხარდაჭერის 2024 წლის პროგრამა.

2. პროგრამის დაწყების და დამთავრების თარიღი: 01იანვარი 2024 წელი – 31 დეკემბერი 2024 წელი.

3. პროგრამის ბიუჯეტი: 120 000 (ასოცი ათასი) ლარი. აქედან:

ა) 100 000 (ასი ათასი) ლარი თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახებისათვის;

ბ) 20 000 (ოცი ათასი) ლარი სადღესასწაულო ხარჯებისათვის (სააღდგომო, საბარბარობო და საახალწლო).

4. პროგრამის დაფინანსების წყარო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტი.

5. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია.

მუხლი 2. პროგრამის მიზანი:

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უკიდურესად გაჭირვებული და მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების საკვები პროდუქტებით მხარდაჭერა

მუხლი 3. პროგრამით მოსარგებლე პირთა კატეგორია:

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახები.

მუხლი 4. საჭირო დოკუმენტაცია და მისი წარდგენის წესი:

ამ პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარები თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარადგენენ განცხადებას, განცხადებას თან უნდა დაერთოს:

ა) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;

ბ) ოჯახის წევრის გარდაცვალების შემთხვევაში გარდაცვალების მოწმობის ასლი;

დ) შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის წერილობითი რეკომენდაცია, რომელიმე მათგანის მიერ ამ უფლებამოსილების განუხორციელებლობის შემთხვევაში (რომელიც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტით), საკმარისია ერთ-ერთის რეკომენდაცია.

მუხლი 5. საკვები პროდუქტების გაცემის წესი და ოდენობა:

1. ამ პროგრამით განსაზღვრულ ოჯახებს საკვები პროდუქტები მიეცემათ შემდეგი ოდენობით:

ა) უკიდურესად გაჭირვებულ და მძიმე სოციალურ პირობებში მყოფ ოჯახებს არაუმეტეს 150 ლარის ოდენობით ერთჯერადად, ხ ო ლ ო სამუშაო ჯგუფის რეკომენდაციის საფუძველზე შესაძლებელია გაიცეს არაუმეტეს წელიწადში ორჯერ.

2. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილ განცხადებას რეკომენდაციის მომზადების მიზნით განიხილავს მერის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფი.

3. რეკომენდაციის შესრულებაზე პასუხისმგებელია ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური, რომელიც გაცემს შესაბამისი ოდენობის ტალონს და ამზადებს მერის ბრძანების პროექტს.

4. მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების გამოცემის შემდეგ თანხის გაცემას უზრუნველყოფს მერიის საფინანსო სამსახური მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

გიორგი ბარათაშვილი,
თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ მარტოხელა მშობლის სოციალური მხარდაჭერის 2024 წლის პროგრამა

დამტკიცებულია თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 10 იანვრის სხდომაზე (განკარგულება გ-29. 29240107)

მუხლი 1. ზოგადი დებულებები:

ა. პროგრამის სახელწოდება: თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მარტოხელა მშობლის სოციალური მხარდაჭერის პროგრამა.

ბ. პროგრამის დაწყების და დამთავრების თარიღი: 01 იანვარი 2024 წელი – 31 დეკემბერი 2024 წელი.

გ. პროგრამის ბიუჯეტი: 55 000 (ორმოცდათხუთმეტი ათასი) ლარი.

დ. პროგრამის დაფინანსების წყარო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტი.

ე. პროგრამის მოსარგებლე ბენეფიციართა სოციალური დახმარების თანხა: მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე ბენეფიციარზე 100 (ასი) ლარი ყოველთვიურად.

ვ. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება:

მარტოხელა მშობელი არის მარტოხელა დედის ან მარტოხელა მამის სტატუსის მქონე პირი.

☞6

თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის სოციალური პროგრამები

5☜

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ მარტოხელა მშობლის სოციალური მხარდაჭერის 2024 წლის პროგრამა

მუხლი 3. პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგები:

მარტოხელა დედების (მამების) სოციალური მდგომარეობის ფინანსური მხარდაჭერა.

მუხლი 4. პროგრამით მოსარგებლე პირთა კატეგორია:

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირი, რომელსაც ჰყავს 18 წლამდე ასაკის შვილი (რომელთა შემოსავლები ბოლო ერთი წლის განმავლობაში არ აღემატება 10 000 ლარს).

მუხლი 5. დაფინანსების მიღებისათვის საჭირო დოკუმენტაცია:

ა. განცხადება მერის სახელზე;

ბ. დახმარების მიმღები პირის პირადობის მოწმობის ასლი;

გ. ბავშვის დაბადების მოწმობა;

დ. მარტოხელა მშობლის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ე. დახმარების მიმღები პირის პირადი ანგარიში.

ვ. ცნობა შემოსავლების სამსა-ხურიდან ბოლო ერთი წლის შემოსავლების შესახებ.

მუხლი 6. მარტოხელა მშობლის დაფინანსების მიღების წესი:

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილ განცხადებას განიხილავს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური და თანდართული დოკუმენტაციის პროგრამასთან შესაბამისობის დადგენის შემდეგ ამზადებს მერის ბრძანების პროექტს.

2. მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების გამოცემის შემდეგ თანხის გაცემას უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

გიორგი ბარათაშვილი,
თერჯოლის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების დროებითი საცხოვრებელი ბინის, ქირით უზრუნველყოფის 2024 წლის პროგრამა

დამტკიცებულია თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 10 იანვრის სხდომაზე (განკარგულება გ-29. 29240104)

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. პროგრამის სახელწოდება: უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების დროებითი საცხოვრებელი ბინის, ქირით უზრუნველყოფის 2024 წლის პროგრამა.

2. პროგრამის დაწყების და დამთავრების თარიღი: 1 იანვარი **2024 წელი – 31 დეკემბერი 2024 წელი.**

3. პროგრამის ბიუჯეტი: 40 000 (ორმოცი ათასი) ლარი.

4. პროგრამის დაფინანსების წყარო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტი.

5. პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა სოციალური დახმარების თანხა: თვეში – არაუმეტეს 300 (სამასი) ლარი სოფელში და არაუმეტეს 400 (ოთხასი) ლარი ქალაქში.

6. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია.

მუხლი 2. პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უსახლკარო მოქალაქეების ბინის ქირით უზრუნველყოფა.

მუხლი 3. პროგრამით მოსარგებლე პირთა კატეგორია:

ა) თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ და ამავე დროს მცხოვრები უსახლკარო ოჯახები, რომლებსაც არ გააჩნიათ სხვა საცხოვრებელი ფართი და რომელთა საარეიტინგო ქულა არ აღემატება 120 000 -ს.

ბ) ძალადობის მსხვერპლი პირები, რომლებმაც ისარგებლეს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში არსებული მსხვერპლთა დროებითი საცხოვრებლით (თავშესაფრით) და თავშესაფარში მოთავსების ვადის ამოწურვის შემდეგ იმყოფება საცხოვრებლის გარეშე.

მუხლი 4. დაფინანსების მიღებისათვის საჭირო დოკუმენტაცია და მისი წარდგენის წესი:

ამ პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარებმა თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში უნდა წარადგინონ:

ა) განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;

ბ) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;

გ) ოჯახის ყველა სრულწლოვანი წევრის საცხოვრებელი ფართობის არქონის დამადასტურებელი დოკუმენტი, ცნობა ქონებრივი მდგომარეობის შესახებ საჯარო რეესტრიდან.

დ) შესაბამის ტერიტორიულ ორგანოში მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლის წერილობითი რეკომენდაცია განმცხადებლის საცხოვრებელი ფართის არქონის შესახებ;

ე) ქირავნობის ხელშეკრულება 1 წლის ვადით.

ვ) განმცხადებლის საბანკო ანგარიში, გამქირავებლის პირადობის მოწმობის ასლი და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან ქონების საკუთრების შესახებ.

ზ) შემაკავებელი ან დამცავი ორდერი ან/და მომხდარი ფაქტის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი, სადაც მითითებულია მსხვერპლის, მასზე დამოკიდებული პირის თავშესაფარში ან კრიზისულ ცენტრში მოთავსება.

თ) ძალადობის მსხვერპლის თავშესაფარში ან კრიზისულ ცენტრში მოთავსების შემთხვევაში თავშესაფრით სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

ი) ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან (მესამე მუხლის „ა" პუნქტით სარგებლობის შემთხვევაში).

მუხლი 5. დახმარების გაცემის წესი:

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილ განცხადებას განიხილავს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფი.

2. სამუშაო ჯგუფის რეკომენდაციის შესრულებაზე პასუხისმგებელია ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური, რომელიც ამზადებს მერის ბრძანების პროექტს.

3. მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების გამოცემის შემდეგ თანხის გაცემას უზრუნველყოფს მერიის საფინანსო სამსახური მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

გიორგი ბარათაშვილი,
თერჯოლის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ჯილდო მამაცობისათვის

ამ დღეებში, მუნიციპალიტეტის მერმა, მანუჩარ რობაქიძემ, ეროვნული გვარდიის რეზერვისტს, თერჯოლის მკვიდრს -მინდია ლილუაშვილს თავდაცვის სამინისტროს მიერ გადაცემული ჯილდოს მიღება მიულოცა და შემდგომი წარმატებები უსურვა.

მესამე მსუბუქი ქვეითი ასეულის რეზერვისტი, მინდია ლილუაშვილი შოვის სტიქიასთან ბრძოლაში მონაწილეობისთვის და გამოჩენილი მამაცობისთვის თავდაცვის სამინისტრომ მედლით დააჯილდოვა.

მინდია ლილუაშვილს მედლის მიღება ასევე მიულოცა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ დავით გოგბერაშვილმა. შეხვედრას მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეები: ზვიად ბაზაძე და მირზა ქოჩიაშვილი, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ჯემალ ისაკაძე, მერის წარმომადგენელი საკრებულოში სოსო ჩაფიჩაძე და კულტურის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ვულოცავთ!

2024 წელს თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგიონული განვითარების ფონდიდან დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული პროექტები

—ქ. თერჯოლაში არსებული მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დარბაზის სარემონტო სამუშაოები—169 894.0 ლარი

—სოფ. ჭალასთავთან დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია—191 724.0 ლარი

—ქ. თერჯოლაში ვაჟა-ფშაველას მე-6 შესახვევში არსებული გზის რეაბილიტაცია—95 000.0 ლარი

—სოფელ თავასა-თუზის დამაკავშირებელი გზის მოწყობა—300 000.0 ლარი

—თერჯოლის მუნიციპალიტეტში სოფ. გოდოგანში საავტომობილო გზის და საყრდენი კედლების მოწყობა/რეაბილიტაცია—300 000.0 ლარი

—სოფელ გოდოგანში, ხორხის უბანში გზის რეაბილიტაცია—200 000.0 ლარი

—სოფელ ზედა სიმონეთში, აბჟანდაძეების უბანთან დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია—300 000.0 ლარი

—სოფელ ნახშირღელეში, ხორხის უბანთან დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია—300 000.0 ლარი

—სოფელ ჩხარში, სკოლასთან დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია—300 000.0 ლარი

—სოფელ ბარდუბანში, საავტომობილო გზის რეაბილიტაცია—300 000.0 ლარი

—სოფელ ზედა და ქვედა ალისუბნის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია—300 000.0 ლარი

—სოფელ კვახჭირი-ოდილაურის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია—300 000.0 ლარი

—სოფელ გოგნში, ტყიბულთან დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია—300 000.0 ლარი

—ქ. თერჯოლაში სულხან-საბა ორბელიანის ქუჩაზე არსებული გზის რეაბილიტაცია—300 000.0 ლარი

—სოფელ ძევრში კალატოზები-ვერულაშვილების უბანში წყლის სისტემის მოწყობა—170 994.0 ლარი

—ქ. თერჯოლაში არსებული მუსიკალური სკოლის შენობის რეაბილიტაცია—295 414.0 ლარი

—სოფ. სიქთარვაში მემანიშვილების უბნის გზის რეაბილიტაცია—300 000.0 ლარი.

—სოფელ სიქთარვაში ყაზაიშვილების უბნის გზის რეაბილიტაცია—300 000.0 ლარი

—ქ. თერჯოლაში ჯაბიძის მეორე შესახვევში გზის რეაბილიტაცია—190 000.0 ლარი

—სოფელ საზანოში ჩიხორი შიმშილაქედის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია—300 000.0 ლარი

—სოფელ 26 მაისი საზანოს დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია—300 000.0 ლარი

ზეციური საუნჯე

გვესაუბრება მოძღვარი

დღევანდელი ამ პუბლიკაციით, რუბრიკით „ზეციური საუნჯე“, ვიწყებთ მართლმადიდებელი მრევლის შეკითხვების საფუძველზე შედგენილი თემების მიხედვით მოძღვარ დავით ჭანტურიძის პასუხების გამოქვეყნებას.

მამა დავითს დამთავრებული აქვს ქუთაისის პედაგოგიური უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი, გელათის სასულიერო აკადემია. 2017 წელს იგი მღვდლად აკურთხა ტყიბულისა და თერჯოლის მიტროპოლიტმა გიორგიმ (შალამბერიძე). მსახურობდა ზედა საზანოს ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში. 2018 წელს, მრევლის მონაწილეობით, აღდგენილი იქნა მთავარანგელოზთა მიქაელ და გაბრიელის სახელობის ეკლესია, რომელიც აკურთხა მიტროპოლიტმა და მამა დავითმა მსახურება ამ ეკლესიაში გააგრძელა. 2020 წელს დაინიშნა საზანოს წმ. გიორგის სახელობის ტაძრის წინამძღოლად, 2022 წლის ნოემბრიდან მღვდელმსახურებას შეუდგა ქვ. სიმონეთის მთავარანგელოზის სახელობის ეკლესიაში, ხოლო 2023 წლის აგვისტოდან სიქთარვის ფერიცვალების სახელობის ეკლესიაში, ზედა საზანოს წმ. გიორგის ეკლესიაში მსახურებასთან ერთად.

2023 წლის ოქტომბერში ტყიბულისა და თერჯოლის ეპარქიის მღვდელმთავარმა მამა დავითი დააჯილდოვა ოქროს ჯვრის ტარების უფლებით, რომელმაც კიდევ უფრო გაზარდა მისი პასუხისმგებლობა ღვთისა და ერის წინაშე.

მამა დავითი ამბობს, რომ მრევლის თითოეული წევრი ძვირფასია მისთვის, რადგან მრევლი გხდის სულიერი ცხოვრების მეგზურად.

ხატი შუამავალი ძალაა ერთის მხრივ იმასთან, ვინც ხატზეა გამოსახული და მეორეს მხრივ, მადლის მომფენია მისი, ვინც მის წინ ლოცულობს. ლოცვაში რა მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის ხატს, მისი ძალა და მნიშვნელობა ფართო გაგებით.

ყოველ მართლმორწმუნის ამქვეყნიური ცხოვრების არსი, უფლის ძალისამებრ შეცნობისაკენ სწრაფვაში მდგომარეობს. ღმერთთან, როგორც უმაღლეს ჭეშმარიტებასთან ზიარება, საეკლესიო სწავლების თანახმად, შესაძლებელია ღვთაების გამუდმებული ჭვრეტით, არამარტო საკუთარ თავში, არამედ ყოველივე გარემომცველში, სწორედ ხატია სარკმელი ზეცაში, წმიდა მამათა შეფასებით, რომელიც ირეკლავს და ხილულად თუ შეფარვით გაგვიცხადებს უფლის სიბრძნეს.

ნიკეის VII მსოფლიო საეკლესიო კრებაზე (787 წ) საბოლოოდ მოხდა ხატის აღიარება თანაგვარად წმინდა წერილისა და ჯვრისა როგორც ღვთის შეცნობის ერთ-ერთი ფორმისა.

წმინდა წერილის მსგავსად, ხატზე აღბეჭდილია ბიბლიური ისტორიის რომელიმე მოვლენა, ან ისტორიული პირი. ყოველივე ეს ორივეგან ხორციელად არის წარმოდგენილი.

ახალი აღთქმისდროინდელი პირველი ხატია ხელთუქმნელი სახე მაცხოვრისა, სასწაულებრივ გამოსახული წმინდა ქსოვილზე, რომელიც იესო ქრისტემ გაუგზავნა ედესიის მეფე ავგაროზს, და იგი განიკურნა სასწაულებრივად ხატთან მიახლოებისას. ასევე დიდი სიწმინდის მატარებელი გახდა ის ფიცარი, რომელიც ყოვლადწმინდა ღვთისმშობელმა პირის დაბანის შემდეგ სახეზე მიიდო და მასზე ღვთისმშობელი სასწაულებრივად გამოისახა ყრმა იესოთი. სწორედ ეს ხატი გადასცა ზეციურმა დედოფალმა ანდრია მოციქულს და აკურთხა საქართველოში საქადაგებლად ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის პირველი რამდენიმე ხატი შექმნა მოციქულმა და მახარებელმა ლუკამ.

ჯვარი ადამიანის დაღუპვის და სრული განწირვის ძველი სიმბოლოა. ახალი აღთქმის ეკლესიისთვის კი უდიდესი სალოცავია. რა არის ჯვარი და როგორია მისი მნიშვნელობა.

ძველი აღთქმის ეპოქაში ჯვარი წარმოადგენდა დასჯის იარაღს და ყველაზე დიდ ბოროტმოქმედებს ჯვარზე აკრავდნენ.

დედამიწაზე მცხოვრებთაგან ყველაზე ამაღლებულად ჯვრის სიდიადე მოციქულთა თავმა პავლემ გამოთქვა თავის ეპოსტოლეში: „ვინაიდან სიტყვა ჯვრის შესახებ სისუსტეა მათთვის, რომელნიც იღუპებიან, ხოლო ჩვენთვის რომელნიც გადავრჩებით, ღვთის ძალაა“ (1 კორინთელით, თ.1-18).

ჯოჯოხეთის სატანჯველისა და მარადიული სიკვდილიდან ჩვენ გამოსახსნელად ჯვარს ეცვა და ევნო ქრისტე ღმერთი, მაცხოვარი ქვეყნისა, რის შედეგადაც ჯვარი სასოების მომცემი და დიდება გახდა. ჯვარის მეშვეობით გამოვლინდა მთელი სავსეობა ღმერთის უსაზღვრო სიყვარულისა კაცობრიობის მიმართ, „რამეთუ ესრეთ შეიყუარა ღმერთმან სოფელი ესე, ვითარმედ ძეცა თვისი მხოლოდშობილი მოჰსცა მას, რათა ყოველსა რომელსა ჰრწმენეს იგი, არა წარჰსწყმდეს, არამედ აქუნდეს ცხოვრება საუკუნო (იოანე 3.16).

ჯვარზე გაკრულმა მაცხოვარმა ნათლად წარმოაჩინა თავისი ამქვეყნად განკაცების მიზანი, რომ მამა ღმერთთან შეერიგებინა ცოდვით დაცემული ადამიანი, ხოლო დედამიწაზე მოიტანა ადამიანთა და ადამიანურ ურთიერთობათა, მანამდე არგაგონილი, ახალი კანონი: პატიება, შენდობა, ყოვლისმიმტევებელი სიყვარული. ნაგვემი, შეურაცხოფილი, ტანჯული ღმერთკაცი ჯვრიდან წარმოაჩენს გასაოცარ ზრუნვას და სიყვარულს თავისი ჯვარმცმელებისა და მტრების მიმართ, და რა თქმა უნდა ზოგადად ადამიანისადმი, სიტყვებით: „მამაო მიუტევე ამათ, რამეთუ არა იციან, რასა იქმნან“.

უნდა გავაცნობიეროთ, რომ ორგვარი ჯვარის ტარებაა მნიშვნელოვანი, პირველია ხილული ჯვარი, რომლის ტარება ყველა მორწმუნისათვის აუცილებელია, რადგან ვადასტურებთ, რომ ვეკუთვნით ქრისტიანულ ეკლესიას და ჯვარცმული მაცხოვრის მიმდევრები ვართ. მაცხოვნებელი ჯვარის ტარების უფლებას ადამიანი იძენს ნათლისღების საიდუმლოების ჟამს, ხოლო მეორე არის უხილავი ჯვარი, რომელიც მოიცავს ჩვენს ცხოვრებას, თავისი განსაცდელებით, ხორციელი თუ სულიერი უძლურებით, ცხოვრების გზაზე წარმოშობილი წინააღმდეგობებით. ამ უხილავი ჯვარის ტარება, უფლისგან ჩვენ მიმართ გამოვლენილი განუსაზღვრელი წყალობის გამო, უდრტვინველად უნდა შევძლოთ.

პირჯვრის გამოსახვა არის რწმენის სიმბოლო. პირჯვრის წერისას უმთავრესი სულიერი ძალების: ნების, გონებისა, გრძნობის თავმოყრითა და გაძლიერებით, სულისა და სხეულის კურთხევით, ჩვენსა და მამაზეციერს შორის უხილავად ვლინდება ჯვრის სახე: გაღებად უფლისმიერი ნათლისა და სიყვარულისა.

სწორად პირჯვრის გამოსახვის, ჟამს უხვად გადმოდის ჩვენზე მოწყალების ღვთაებრივი ნაკადული. გასათვალისწინებელია, რომ სახლში, საღოცავ კუთხეს უნდა ამშვენებდეს მღვდლისგან ნაკურთხი ჯვარი პატიოსანი.

ესაუბრა
ჟუჟუნა ცხადაძე

ზურაბ კირკიტაძის გამოსათხოვარი



ოჯახის წევრებისთვის უცნობი, ასაკოვანი ქალი შემოვიდა პანაშვიდზე. იდგა და ტიროდა. მომსვლელთა ნაკადი ოდნავ რომ შემცირდა, კუბოსთან მივიდა, გარდაცვლილს შუბლზე ხელი დაადო და თქვა—როგორ მოახერხე ჩემი ოჯახის დახმარება, ახლა გიხდი მადლობას, ნათელში იყავიო და წავიდა. ასეთი მადლიერი ადამიანები სხვაც ბევრი ჰყავდა ზურაბ კირკიტაძეს, რაც არაერთხელ წაადგათ ზურაბის შვილებს, შვილიშვილებს, კიდევ დიდხანს გაუკვალავთ გზას მრავალრიცხოვან შთამომავალთ ღირსეული წინაპარი.

პოლიციის მაღალჩინოსანი იყო ზურაბი, მან გაიარა გზა რიგითი ავტოინსპექტორობიდან უფროს ინსპექტორობამდე და შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების უფროსობამდე. სიმართლე უნდა ითქვას—ასეთი თანამდებობები და ასეთი გზა, ხშირ შემთხვევაში არ არის სიყვარულით გარემოსილი, მაგრამ რჩეულნი ამასაც ახერხებენ. დიახ, რჩეული იყო ზურაბ კირკიტაძე, შინაგან საქმეთა ორგანოებში მუშაობას იგი ურთულეს საქმეს უწოდებდა.

უყვარდათ ზურაბი, ჰქონდა დიდი ავტორიტეტი, მუშაობის პროცესშიც, უმუშევრობის პერიოდშიც და ყოველთვის.

ზურაბს იცნობდა ტყიბულის, ხარაგაულის მოსახლეობა, ჰყავდა დიდი სამეგობრო.

პურის და მარილის, სტუმრის ფასი იცოდა, უყვარდა თამადობა, ნადირობა და მასთან დაკავშირებული ამბების მოყოლა. იყო კარგი მთხრობელი, მოჭარბებული იუმორის გრძნობით.

მალე ორმოცი დღე გახდება ზურაბ კირკიტაძის გარდაცვალებიდან, მწუხარებაა დასადგურებული მის დიდ ოჯახში. დრო ყველაფრის მკურნალი, გააფერმკრთალებს წარსულს, მაგრამ უცვლელი დარჩება მოგონებები ღირსეულ კაცზე, რომელიც ახლა იქიდან, უფლის წიაღიდან მოგვიწოდებს, რომ გვიყვარდეს ერთმანეთი, გვიყვარდეს ყველაფერი, რაც წმინდაა, რაც ნამდვილია, ღირსეული და ამაღლებული...

2024 წლის 10 თებერვალს ზურაბ კირკიტაძე 75 წლის გახდებოდა, ვეღარ მოესწრო. ოჯახმა და უახლოესმა ადამიანებმა ზურაბის დაბადების დღე მის გარეშე აღნიშნეს, რაც დიდი ტკივილი იყო მათთვის...

სამეგობრო

თერჯოლის მოსწავლე-ახალგაზრდობის მუნიციპალური ცენტრის თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ დალი კუბლაშვილის დის

ნანული კუბლაშვილის

გარდაცვალების გამო.

მანანა და დავით კლდიაშვილები მწუხარებაში თანაუგრძნობენ სულიკო გიორგაძეს, შვილებს და როზა გიორგაძეს მეუღლის, მამისა და ძმის

ტარიელ გიორგაძის

გარდაცვალების გამო.

სსიპ დავით კლდიაშვილის სახელობის თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა სიმონეთის საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი, სამეურვეო საბჭო და ტექნიკური პერსონალი სამძიმარს უცხადებენ ამავე სკოლის დაწყებითი კლასების პედაგოგ ელისო ჯანელიძესა და თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომელ მერაბ აბესაძეს დედამთილისა და დედის

ვენერა აბესაძის

გარდაცვალების გამო.

„დაგიბრუნდებით, მამულო ჩემო, ჩვენ უსათუოდ დაგიბრუნდებით“

23 წლიანი ემიგრანტული ცხოვრების გადასახედიდან

„ჩვენ უცხო ქვეყნის ხიზნები ვართ დარდით ყელამდე,
და აღარ ვიცით როდის მოვალთ ფრენით შენამდე“...

ვფიქრობ მხოლოდ ეს ორი სტრიქონია საკმარისი გავიგოთ იმ ქალბატონების განწყობა, სევდა და ტკივილი—სამწუხაროდ,

ოჯახებს მოწყვეტილნი, უცხოეთში რომ ცხოვრობენ და მძიმე შრომითა და მონატრებით წუთისოფლის ჭაპანს ეზიდებიან. მათ შორისაა ჩვენთვის ყველასათვის ნაცნობი და საყვარელი ქალბატონი ლუიზა კუპატაძე, რომელიც მოლოდინითა და იმედით ელოდება იმ ბედნიერ დღეს, როცა დაბრუნდება... მანამდე კი შრომობს და თავისუფალ დროს წერს ლექსებს, რომელთა წაკითხვა გულგრილად შეუძლებელია.

ემიგრანტის ყოფა, ქართველი ქალის არჩევანი არასოდეს ყოფილა და არც იქნებოდა, რომ არა სამწუხარო რეალობა—გაჭირდა ცხოვრება, ოჯახებში შექმნილმა მძიმე სოციალურმა მდგომარეობამ გადაადგმევინა მათ ეს ნაბიჯი, თუმცა, უმრავლესობისათვის ნამდვილად არ იყო ადვილი ეს გზა აერჩია: საყვარელი ადამიანების გარეშე უცხო გარემოში მუდმივ მონატრებასა და გულისტკივილით ცხოვრებისათვის გაეწირათ საკუთარი თავი და მიტოვებული საყვარელი ადამიანები, მეუღლე, შვილები, მშობლები და სხვა ახლობლები...

ბოლოს გამოვიდა ისე, რომ უცხოეთში სამუშაოდ გადახვეწილი ქალბატონები გახდნენ ერთადერთი რეალური იმედები საქართველოში ოჯახების უმრავლესობისათვის, და ასე გრძელდება დღემდე. თითქოს 2-3 წლით მიდიან ოჯახის პრობლემების მოსაგვარებლად, მაგრამ წლები გადის და ისევ ემიგრანტებად რჩებიან...

ასე მოხდა ლუიზა კუპატაძის შემთხვევაშიც. თერჯოლაში წარმატებული, საუკეთესო ოჯახის დედა და მეუღლე, საზოგადოების აქტიური წევრი, ავტორიტეტული ხელმძღვანელი, გონიერი და ამავდროულად შრომისმოყვარე ქალბატონი, რომელსაც ასევე სანიმუშო მეუღლე, გამორჩეული პიროვნება, ბატონი ვასო არაბიძე ედგა გვერდით.

წავიდა და გაჰყვა სიყვარულის, მონატრებისა და ტკივილის უსაშველო განცდა, რომელსაც ვერაფრით ვერ ჩასწვდები და ვერ გაიგებ თუ არ გამოსცადე.

ვინ იცის სურვილებისა და მონატრების რამოდენა სევდაა დატეული იმ 23 წელიწადში, ემიგრანტული ცხოვრებით რომ გაატარა და დასასრული ჯერაც არ უჩანს...

ქალბატონი ლუიზას ლექსები ყველაფერს ამბობს.

„ჩემი მონატრება მწუხრის ფერია,
ჯანღისფერია, ფიქრის ფერია,
შვილები დედის გზას გასცქერიან,
თვალცრემლიანი დგანან, ელიან...
დედები სადღაც დარდით კვდებიან,
ვნებდებით ბედს სხვა რა დაგვრჩენია!
ეს განშორება განაჩენია?
ნუთუ, უვადო განაჩენია!

ჩვენი გაზეთის ამ გვერდზე გთავაზობთ ქალბატონ ლუიზას რამდენიმე ლექსს. იგი ამ ლექსებში ემიგრაციაში მყოფი ქალბატონების უმეტესობის სათქმელს ამბობს და ამავე დროს საუკეთესო დარიგებასა და გაფრთხილებასაც აძლევს მათ, ვისაც უცხოეთში წასვლის სურვილი აქვთ... იქნებ ჯობდეს, აქ, სამშობლოში გაისარჯონ, თუნდაც დიდი ძალისხმევითა და ფიზიკური დატვირთვით ეცადონ ოჯახის პრობლემების მოგვარებას... განა ღირს უცხოეთში ნაშოვნი, იმ ტკივილად, რასაც თავად წასულები განიცდიან და არანაკლებად, მათი დატოვებული ოჯახი, ახლობლები, მითუმეტეს მცირეწლოვანი შვილები?!

ლუიზამ, რომელიც უცხოეთში მყოფ ემიგრანტ ქალბატონებს ხშირად ეკონტაქტება, მათთვის და არა მხოლოდ მათთვის მიძღვნილი წლევანდელი 2024 წლის საახალწლო მილოცვა ასე დაასრულა:

„დაე ცისარტყელას ფერებით მორთულ ბედნიერ საქართველოში გვეცხოვროს, ერთად, ბედნიერად, ჩემო ემიგრანტებო!“
ღმერთმა უსმინოს...

ემიგრანტობა სასჯელია

ემიგრანტობა სასჯელია და
გულის დამღა,
ვინც ამ სასჯელის მოსახდელად
მიდიხართ ახლა,
გახსოვდეთ, წინ გაქვთ გზა უცნობი,
ეკალ-ბურდებით,
წახვალთ და მერე სამშობლოში ველარ
ბრუნდებით...
გადიან წლები, კვლავ შენსკენ აქვთ
ხელი გაწვდილი,
შენ კი დაბერდი, შველას ელი,
ძალადაცლილი...
ვერ აისრულე დაგეგმილი შენი მიზანი,
და ასე რჩები სიკვდილამდე
სხვისი ხიზანი!

ემიგრანტის მოთქმა

ცამ ღრუბელი ვერ გადაიყარა,
დანისლულია მთელი სამყარო...
იცლება მიწა, სადღაც მიდიან,
რასაც ეძებენ თითქოს ბედია—
გახსოვს მედეა?
მალვით დატოვა სამშობლო, მარა,
უცხო მიწაზე ვინ გაახარა?
ვინ შეითვისა? ვინ შეიყვარა?
შვილის მკვლელად თვლის მთელი
ქვეყანა...
დღეს მეორდება ის ტრაგედია—
შვილებს დარჩება სამკალი ყანა,
არ გტკივა, განა?!
შვილებდაკარგულ დედას არ გავხარ,
რად არ არისხებ მამულო, ზარებს?
შენი დედები სხვის შვილებს ზრდიან,
ჩვენ ვინ გაგვიზრდის, იმ ყრმას,
ბაზალეთს?
რამაც დაგვფანტა, მიგვყარ-მოგვყარა,
დღემდე თავი რად ვერ მოგვიყარა?
იქნებ სამშობლომ გადაგვიყვარა?
ვაი თუ ის გზა, ტოლი გოლგოთის,
დარჩეს—„იყო და არა იყო რა“...

შევესწარი როგორ ყრიდნენ ბერძნები სანაგვეზე წიგნებს...

მოყირჭებიათ ძველი სიბრძნე
ახალ ელინებს,
ვხედავ, ჰომეროსს სანაგვეზე
მიარბენინებს...
ვშეშდები, ველარ ვუჯერებ თვალებს,
ნაგვიდან ვიღებ გაოცებულ
არისტოფანეს,
არისტოტელესს, პლატონს, სოლონს
და ევრიპიდეს...
მითხარით როგორ არ გამიკვირდეს?!
მე წარმოსახვაც კი მაშინებს და
ტანში მზარავს,
ყველა ზარალი მირჩევნია გონებრივ
ზარალს—
გაშრება სისხლი, გაჩერდება ეს გული,
რაჟამს,
ვიხილავ ამგვარ ყუთში შოთას, ილიას, ვაჟას...
ეჰ, ჩემო ჯიშო, წარმოსახვაც
გონებას მირევს,
შენ არ მიბაძო, ამ ყეყეჩ ვირებს!

***

ვზივარ და კალმით რაღაცას ვწვალობ,
მძიმე ცხოვრება გავიიოლო...
სარკმლიდან ვხედავ მზის სხივზე
გაწვდილს—
რა მაღალი ხარ გალაკტიონო!
ზეციდან ჟონავს მირონი მადლის,
ვინ მარგებს მე ამ საოცარ ნაზავს
მთის ძირას, მინდვრის
შველივით მფრთხალი,
მთის წვერზე შემდგარს, შევყურებ ვაჟას...
ჩანგს ვაჩხაკუნებ, სირცხვილით
მთვრალი,
ცასა და მიწას შორის ვცემ ბოლთას,
მაღალ კვარცხლბეკზე შევასწარ თვალი
აფორიზმებით დახუნძლულ შოთას.
სასომიხდილი შევყურებ მგოსანს,
ვეფხის ტყავივით სამოსი მოსავს,
დგას ბუმბერაზი, თითქოს მიცინის,
მეტად მრცხვენია ჩემი სიმცირის...
უცებ ხმა მომწვდა პოეტთა მეფის,
სიტყვა მალამოდ ამ იარების:
—გაქვს შვილო ჩემო, უფლება ნების,
მითქვამს—„ჩვენ მათიც კი
გვიამების!“...

***

თუ ღვთის ნებით, შევიყარეთ
ვინც მიყვარხართ, ერთად ყველა...
ეხ რა ვიცი ბედისწერამ,
ბედის წიგნში რა ჩაწერა!...

***

გაჭირდა ცხოვრება, ტიალი,
თორემ, ქართველი და ხეტიალი?!

***

ქართველი, მუდამ მიჯაჭვული
საკუთარ მიწას,
გადახვეწილა უცხოეთში მსახურებს
ვინცხას!

***

ხშირად მოდი ბარათო, მზესავით რომ
გამათბო...
მაგრამ ზოგჯერ ბარათი, ტკივილია
მარადი!

***

უცხო მიწაზე სიკვდილს ნუ შემყრი,
სულს ვევედრები მფარველ
ანგელოზს—
ჩემი სიცოცხლის უბელო რაში
სიკვდილს ზემოდან გადააგელვოს!

***

ხელ-ფეხ შეკრული მწვავე ხუნდებით,
დღეს სხვის მიწაზე
ვბერდებ-ვხუნდები...
დაგიბრუნდებით, მამულო ჩემო,
ჩვენ უსათუოდ დაგიბრუნდებით.

ლუიზა კუპატაძე

ქალბატონი ოკეანეს გაღმიდან

„როგორ უსაზღვროდ მენატრება ჩემი ლამაზი თერჯოლა, ჩემს ალისუბანთან ერთად!“

***

„ჩემო საყვარელო ადამიანებო, გილოცავთ შობა-ახალ წელს, ბედნიერებას, ულევ სიხარულს და ჯანმრთელობას გისურვებთ!“

დარეჯან ერგემლიძე წლებია ემიგრაციაში ცხოვრობს, თუმცა მას არასოდეს ყურადღების მიღმა არ დაუტოვებია მშობლიური კუთხე, სისტემატიურად ეხმიანება ახლობლებს, მეგობრებს, თანამოსაქმეებს. ახარებს თერჯოლაში მიმდინარე პროცესები, ინფრასტრუქტურული პროექტები, რომლებიც კიდევ უფრო ალამაზებენ იმ თერჯოლას, სადაც დღემდე ახსოვთ მისი აქტიური საზოგადოებრივი საქმიანობა. დარეჯანი დიდ ენერგიას ახმარდა მინდობილ საქმეს—მოსწავლეთა სწავლა-აღზრდა, მათი სიყვარული მისი განსაკუთრებული ზრუნვის საგანი იყო. შემდეგ, პარალელურად, ავადმყოფ ბავშვებზე ზრუნვა იკისრა და მთელ ძალისხმევას ახმარდა მათი საზღვარგარეთ სამკურნალოდ გასაგზავნად დაფინანსების მოპოვებას.

სწორედ მისი ხელშეწყობით მოხდა არაერთი მოზარდის გადარჩენა და ჯანმრთელობის შენარჩუნება.

დარეჯანისაგან მისი მეგობრები ხშირად ვიღებთ მოლოცვისა თუ თანაგრძნობის ტექსტებს, სადაც დიდი მონატრების, სიყვარულის და თანადგომის უსაზღვრო განცდა და სურვილია გაცხადებული.

ქალბატონი ოკეანის გაღმიდან გვეფერება კეთილი სურვილებით...

გვერდის ავტორი
მზია ცქიფურიშვილი

შპს „თერჯოლა“
გამომცემელი **ვალერიან გოგიაშვილი** 599 92 49 75
მთავარი რედაქტორი **დავით კლდიაშვილი** 599 91 24 14
სარედაქციო კოლეგია
რეგისტრაციის №53/5/ბ-22
გამოდის თვეში ორჯერ
კორესპონდენტები:
ი. მარუაშვილი—0(491) 22 15 16
ჟ. ცხადაძე—558 90 82 55
მ. ცქიფურიშვილი—555 28 11 41
ელ-ფოსტა: gazetiterjola@gmail.com
აიწყო და დაკაბადონდა რედაქციის კომპიუტერულ ცენტრში
მისამართი:
ქ. თერჯოლა, კოსტავას ქუჩა №2
დაიბეჭდა ქუთაისის
შპს „ხომლი ენ“-ის სტამბაში
ქუთაისი, ჭავჭავაძის გამზ. №33
ჩვენი რეკვიზიტები:
„ლიბერთი ბანკი“
LBRTGE22,
ანგარიში
GE32LB0113133960124000
ს/კ 231948872